როგორ შევავსო ფასები გაყიდვაში

იმისათვის რომ გამოვიყენოთ რამდენიმე რამდენიმე პრაის-ლისტი, საჭიროა „რამდენიმე ფასის ტიპის გამოყენება“ ფუნქციონალური ოფციის ჩართვა (ადმინისტრირება > აღრიცხვის აწყობები > გაყიდვები).

გაყიდვების დოკუმენტებში ახალი დოკუმენტის დამატებისას ფასის ტიპის შევსება ხდება ავტომატურად შემდეგი წესით:

1. მყიდველზე დანიშნული ფასის ტიპი (როგორ დავამატო მყიდველი)
2. მოხმარებლის ძირითადი ფასის ტიპი (როგორ განვსაზღვრო ძირითადი ფასის ტიპი მომხმარებელზე).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ მყიდველზე არ არის დანიშნული ფასის ტიპი, პროგრამა ეძებს მომხმარებლის ძირითად ფასის ტიპს

გაყიდვის დოკუმენტებში „ფასის ტიპები და გადასახადები“ ლინკზე დაჭერით შესაძლებელია სასურველი ფასის ტიპის არჩევა.



იმ შემთხვევაში თუ ცხრილში უკვე არჩეულია ნომენკლატურა, „OK” ღილაკზე დაჭერისას გამოდის შეტყობინება გადაივსოს თუ არა არჩეული ნომენკლატურებისთვის ფასები. თანხმობის შემთხვევაში ცხრილში ფასები შეივსება ნომენკლატურაზე დადგენილი ფასების მიხედვით (როგორ დავადგინო ნომენკლატურაზე ფასი). იმ შემთხვევაში თუ მოხდა უარყოფა, უკვე არჩეულ ნომენკლატურებზე დარჩება შეყვანილი ფასები, ხოლო ახალი პოზიციის დამატებისას ველი „ფასი“ შეივსება არჩეული ფასის ტიპის მიხედვით.

როგორ განვსაზღვრო ძირითადი ფასის ტიპი მომხმარებლისთვის

ახალი დოკუმენტის დამატებისას ფასის ტიპის შევსება ხდება მომხმარებლის პარამეტრებში მითითებული ძირითადი მნიშვნელობის მიხედვით, ამისათვის უნდა გავხსნათ მომხმარებლის ბარათი (ადმინისტრირება > მომხმარებლების პარამეტრები და უფლებები > მომხმარებლები) და გადავიდეთ „პარამეტრები“ ჩანართზე.



წინასწარგანსაზღვრული ფასის ტიპი

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელზე არაა განსაზღვრული ძირითადი ფასის ტიპი, დოკუმენტში ფასის ტიპი ივსება ცნობარის წინასწარგანსაზღვრული* ელემენტით, რომელიც სიაში გამოყოფილია ყვითელი ნიშნით.

* წინასწარგანსაზღვრული ელემენტის დამატება ხდება პროგრამის კოდიდან და მისი წაშლა ან ჩანაცვლება შეუძლებელია, თუმცა მომხმარებელს შეუძლია შეუცვალოს სახელი ან სხვა პარამეტრები.